ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1548671

ნომერი: AR1255006

თარიღი : 02.10.2014

გაცემის თარიღი : 24.10.2014

გაცნობის თარიღი : 29.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქერჩის ქუჩისა და იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩების გადაკვეთასთან (ნაკვეთი 36/040)/ ქალაქი თბილისი , ქერჩის ქუჩის დასაწყისში ა.გ.ს.-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ არაბიძე პ/ნ 18001001330
- მაყაშვილის31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 10/02/2014წ. AR1255006 განაცხადი, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისის მერის 16.09.2013წ. #2009 განკარგულებაში ცვლილების შეტანას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის არქიტექტურის სამსახური არ არის უფლებამოსილი ცვლილება შეიტანოს ქ. თბილისის მერის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ამასთან, ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 12.09.2013წ. #36 სხდომის ოქმის თანახმად, კომისიამ იმსჯელა და შესაბამისად, ქ. თბილისის მერის 16.09.2013წ. #2009 განკარგულების თანახმად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცა ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩისა და იპოლიტოვ–ივანოვის ქუჩების გადაკვეთასთან არსებული მიწის ნაკვეთისათვის, საკადასტრო კოდით #01.11.05.036.040.

დღეისათვის კი, ვინაიდან მიწის ნაკვეთების გაერთიანების შედეგად, შეცვლილია აღნიშნული #01.11.05.036.040 საკადასტრო ერთეულის მახასიათებლები (მიწის ნაკვეთის ფართობი და სხვა), საჭიროა შესაბამისი პარამეტრების მინიჭების საკითხი ხელახლა იქნას განხილული ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის მიერ. საკითხის განხილვის მიზნით, განაცხადი თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ–გვერდზე (www.tas.ge) უნდა დაარეგისტრიროთ შემდეგი თანმიმდევრობით: ელექტრონული განცხადებები >> მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები >> ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა.